

განმარტებითი ბარათი
„მოსაკრებლის სისტემის საფუძვლების შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული კანონპროექტის მიღება განპირობებულია „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით დაცულ იქნას კანონის სამართლებრივი სისტემის ერთიანობა და „მოსაკრებლის სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში მოხდეს შემოადნიშნული მოსაკრებლის სახეობის ასახვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

აღწერილი ცვლილების განხორციელებით შესაძლებელი გახდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების სახეობის მოსაკრებლების ჩარჩო კანონში ასახვა და საკანონმდებლო სისტემის ერთიანობის დაცვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს არ მოითხოვს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არანაირ გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არანაირ გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ იღებს.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ეხება გადასახადის და/ან მოსაკრებლის განაკვეთებს.

ბ.ვ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტით არანაირი გავლენა არ ხორციელდება არცერთ პირზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.